# მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

## სარჩევი

გენდერის კვლევა ........ 2
დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია ........ 8
დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა ........ 13
ევრაზიისა და კავკასიის კვლევები ........ 18
**ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი) ........ 25**
კონფლიქტოლოგია ........ 29
მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები ........ 36
მედიის კვლევები ........ 48
ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება ........ 53
პოლიტიკის ანალიზი და საჯარო  პოლიტიკა ........ 59
პოლიტიკის მეცნიერება ........ 64
პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება ........ 69
სოციალური მუშაობა ........ 79
სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია ........ 84
სოციოლოგია ........ 90
ციფრული მედია და ინოვაციები ........ 95

| პროგრამის სახელწოდება | გენდერის კვლევა<br>Gender Studies |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | პროგრამაზე მიღების წინაპირობებია:<br>• **ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი** ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;<br>• **საერთო სამაგისტრო გამოცდის** ჩაბარება;<br>• სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;<br>• **ინგლისური ენის ცოდნა B2** დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ექვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა;<br>• **წერითი გამოცდა სპეციალობაში;**<br>• **გასაუბრება** (კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გენდერის კვლევის შესავალ საკითხებზე გასაუბრების საფუძველზე);<br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა  უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;<br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:<br><br>• საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა;<br>• ინგლისური ენის გამოცდა - B2 დონე  ( 30 %) -  მინიმალური 51 ქულა;<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში ( 40 % ) -  მინიმალური 51 ქულა;<br>• გასაუბრება ( 30 % ) -  მინიმალური 51 ქულა. |

| | |
|---|---|
| | გამოცდის საკითხებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | გენდერის კვლევის მაგისტრი<br>Master of Gender Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| | ინტერდისციპლინური მიმართულება |
| | |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: მედეა ბადაშვილი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | პროგრამის კოორდინატორი: მედეა ბადაშვილი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ტელ.: +995 599 54 04 50 |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 |
| სავალდებულო დარგობრივი | 50 |
| არჩევითი დარგობრივი | 35 |
| თავისუფალი კრედიტები | 5 |
| **სული** | 120 |
| | |
| | |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში ინტერდისციპლინარულია. იგი სტუდენტებს აწვდის გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ უახლეს ცოდნას სხვადასხვა თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების საშუალებით, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ და ლოკალურ კონტექსტში.

**პროგრამის მიზანია:**

- მისცეს სტუდენტებს ფუნდამენტური ცოდნა გენდერის კვლევაში; ხელი შეუწყოს სოციალურად რელევანტური და კრიტიკული ცოდნის წარმოებას მოცემულ დარგში;
- სათანადო კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებით მოამზადოს სტუდენტები როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ სფეროში საქმიანობისთვის.

**სწავლის მეთოდები**

პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას და მორგებულია სტუდენტების ინტერესებსა და საჭიროებებზე:

სწავლა-სწავლების მეთოდებია - ლექცია; სემინარი; შემთხვევის შესწავლა; როლური და სიტუაციური თამაშები; გონებრივი იერიში; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; ელექტრონული სწავლების (E-learning) მეთოდები.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

*დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*

შეფასების სისტემა უშვებს:

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**

**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**
სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (**FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[1].“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

---

[1] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

**სწავლის შედეგები**

*პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი იძენს უახლეს ცოდნას გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ; ასევე ცოდნას უახლესი თეორიული მიდგომებისა და პრაქტიკული ამოცანების შესახებ საერთაშორისო და მათ შორის პოსტ-საბჭოთა და რეგიოგნალურ კონტექსტში; მოიპოვებს გენდერული თვალსაზრისით საინტერესო კვლევითი თუ პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიკაციის უნარსა და მათ გადასაჭრელად საჭირო თეორიულ თუ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს;*
*ასევე გენდერთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემების გადაჭრაზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას;*
*გარდა ამისა, სტუდენტს განვითარებული აქვს, ზოგადად, კვლევისა და ანალიზის უნარი, დებატების კულტურა, აკადემიური წერის, პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარები;*
*იძენს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი სოციალური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას და გამოცდილებას.*
*სტუდენტს ასევე აქვს შემეცნებითი საქმიანობის მარეგულირებელი ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ცოდნის ძიების პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, აზროვნების ღიაობა.*
*პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში*

*აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად.*

**ა) ცოდნა და გაცნობიერება;**
სტუდენტი:
 სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს გენდერის კვლევის თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლებს;
 განსაზღვრავს გლობალური, რეგიონალური და ლოკალური უთასნაწორობის მიზეზებს, მათ შედეგებს და მათი ეფექტურად გადაჭრის გზებს;
 აცნობიერებს გენდერული სამართლიანობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობასა და სახელმძღვანელო პრინციპებს;
 ინტერდისციპლინური მიდგომის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღწერს და განმარტავს გენდერული კვლევებისთვის რელევანტურ კვლევის მიდგომებს, მეთოდებს, პროცედურებსა და პრიორიტეტებს;
 კრიტიკულად იაზრებს ფემინისტური თეორიების, ქალთა უფლებებსა და მოძრაობებს, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე პერსპექტივაში;
**ბ) უნარი;**
სტუდენტს შეუძლია:
 უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში გენდერის ან/და ფემინისტური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება, მიღებული შედეგების გაანალიზება აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
 საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით;
 სრულყოფილად გაცნობიერება საკუთარ პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდიერების განვითარების პროცესში, მათ შორის პლაგიატის პრევენციისას;
**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;**
სტუდენტს შეუძლია:
 საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
 კომპლექსურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და მასთან ადაპტირება, პროფესიული ცოდნასა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.

**დასაქმების სფეროები**

გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფერო ვრცელია:

- სამთავრობო უწყებები (ექსპერტებად და მკვლევარებად);
- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- კვლევითი ცენტრები.

| პროგრამის სახელწოდება | დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია<br>Demography and Population Geography |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის ხარისხი;<br>• ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაში გამსვლელი ქულის მიღება;<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში;<br>• მიმღებ კომისიასთან გასაუბრება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B1 დონე);<br>• პროგრამაზე დაიშვებიან ის უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ქართულ ენას (B2 დონე).<br>**ქულების განაწილება:**<br>გამოცდა სპეციალობაში - 40 %<br>გასაუბრება სპეციალობაში- 30 %<br>გასაუბრება ინგლისურ ენაში - 30 % |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | **მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში**<br>MSc in Demography |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი<br>საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება |
| | |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა ლორთთქიფანიძე<br>პროგრამის კოორდინატორი: --<br>ტელ.: +995 599 54 09 59,<br>ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |

| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
|---|---|
| | |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 კრედიტი |
| | |
| **სულ** | 120 კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

**დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** დემოგრაფიაში მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ:

- დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირითადი თეორიების, დებულებების, კანონების სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით სოციოლოგიური კვლევების ჩატარება;
- მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების განსაზღვრა დინამიკაში, როგორც მსოფლიოში, ასევე რეგიონულ და ცალკეული ქვეყნების ჭრილში;
- მიგრაციული პროცესების (მათ შორის კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოვლენა და ანალიზი;
- დემოგრაფიის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებთან ურთიერთკავშირის განსაზღვრა;
- მიღებული ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ნაწილში.

**სწავლის მეთოდები**

**აღწერა და შეფასება**

პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული თითოეული კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც გამოიხატება ცოდნისა და უნარების მაღალი ხარისხის მისაღწევად სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ეფექტურ განსაზღვრაში.

სამაგისტრო პროგრამის სხვადასხვა კურსში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს მიეკუთვნება:

- ვერბალური/წერითი
- წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობა
- ახსნა - ინტერაქციული ლექციები
- დამოუკიდებელი კვლევა - სემესტრული (სასწავლო კურსების მიხედვით) და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება
- დისკუსია/დებატები
- პრაქტიკა

- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება[2] (E-learning).

სასწავლო კურსის თემატიკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესორი ირჩევს სასწავლო კურსის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდ(ებ)ს.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:
ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

*დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*
შეფასების სისტემა უშვებს:

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
- (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების

[2] ელექტრონული სწავლება - https://bit.ly/3z1JWTG

შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**

**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**
სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[3].“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი,

[3] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.; მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

**სწავლის შედეგები**

*ა) ცოდნა და გაცნობიერება;*

1. სიღრმისეულად აღწეროს დემოგრაფიის ფუნდამენტური კონცეფციები, სისტემურად გაანალიზოს დემოგრაფილი თეორიები, ამოცანები, პარადიგმები და სხვა პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და განსაზღვროს შესაძლო შედეგები;
2. კრიტიკულად დაამუშავოს დემოგრაფიული მაჩვენებლები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით და მათ საფუძველზე მოახდინოს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის დადგენა, პროგნოზების გაკეთება;
3. გამოიყენოს კვლევის მეთოდები დემოგრაფიაში (მათემატიკური, სტატისტიკური, სოციოლოგიური);
4. სიღრმისეულად აღწეროს მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, მათი გეოგრაფია, გამომწვევი მიზეზები და შედეგები;
5. დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით, მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მოდელების შექმნა და მათი იმპლიმენტაციისათვის საჭირო კომპლექსური მონაცემების ანალიზი (დემოგრაფია 1, დემოგრაფია 2, დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 1, დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 2, დემოგრაფიული სტატისტიკა 1, დემოგრაფიული სტატისტიკა 2);

*ბ) უნარი;*

6. დემოგრაფიული თეორიების სხვადასხვა ასპექტის მისადაგება/გამოყენება თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში;
7. დამოუკიდებლად განახორციელოს დემოგრაფიული მაჩვენებლების დამუშავება და ანალიზი კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით;
8. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების დემოგრაფიული განვითარების ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზის დემონსტრირება და მათი გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
9. წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა ქვეყნების მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად;

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

10. დამოუკიდებლად გამოიყენოს შესწავლილი მეთოდები და მეთოდოლოგია, განსაზღვროს პრობლემები, მოახდინოს მათი ანალიზი, შეფასება და დაგეგმოს ცოდნის შემდგომი გაღრმავება;
11. გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შესატანად, როგორც პროფესიული, ასევე

| | |
|---|---|
| სამოქალაქო აქტივობით | |
| **დასაქმების სფეროები** | |
| პროგრამაზე მუშაობის დროს მიმდინარეობდა კონსულტაციები დამსაქმებელებთან, რომ მათთან ერთად განსაზღვრულიყო ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<br>საქართველოში არსებობს, როგორც სახელმწიფო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, სამეცნიერო დაწესებულებები), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები, რათა პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ მოსახლეობის განვითარების, მათ შორის სულ უფრო მზარდი მიგრაციული პროცესები. შესაბამისად, დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებას. | |
| პროგრამის სახელწოდება | **დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა**<br>Diplomacy and International Politics |
| | |
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:<br>• ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები;<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;<br>• გამოცდა საერთაშორისო ურთიერთობებში სპეციალური პროგრამით (50%);<br>• გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან დადასტურება შესაბამისი სერტიფიკატით (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები) (30%);<br>• გასაუბრება სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან-20%).<br>კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გამონაკლისი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი<br>Master of Diplomacy and International Politics |

| | |
|---|---|
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| | საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულება |
| | |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: ფიქრია ასანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | პროგრამის კოორდინატორი: ფიქრია ასანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ტელ.: +995 599 64 32 23 |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| **სავალდებულო დარგობრივი** | 35 კრედიტი |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | 30 კრედიტი |
| **არჩევითი დარგობრივი** | 45 კრედიტი |
| **თავისუფალი** | 10 კრედიტი |
| **სული** | 120 კრედიტი |
| | |
| | |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება დიპლომატიასა და საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელთაც ექნებათ როგორც მყარი თეორიული ცოდნა დარგისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ისე ამ ცოდნის გააზრების და პრაქტიკაში ვერბალური და წერილობითი გამოყენების უნარები.

**სწავლის მეთოდები**

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი:
ლექციები, პრაქტიკული სამუშაო ჯგუფები, პრეზენტაციები, ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

**სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა** ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, შესაბამისად, სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის,

რომელიც შემდგომში ღრმავდება.

**პრაქტიკული მეცადინეობისა და სამუშაო ჯგუფის** დანიშნულებაა სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია** განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პრაქტიკები გაიარონ საგარეო საქმეთა სამინისტროში, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, საქართველოს პარლამენტის აპარატში და სხვა სახელმწიფო და კვლევით ორგანიზაციებში.
ელექტორნული სწავლების მეთოდები.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:
ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.
დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.
**შეფასების სისტემა უშვებს:**
**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.**

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**
**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**

სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას .“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი,

ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

**სწავლის შედეგები**

*ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**

1. კრიტიკულად განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიულ მიმართულებებსა და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო პრობლემებს;
2. არგუმენტირებულად მსჯელობს დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის, ისევე როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის თავისებურებებზე, მიზნებსა და მათი განხორციელების საშუალებებზე;
3. სისტემურად აღწერს დიპლომატიის ისტორიის მთავარ საკითხებსა და დიპლომატიური პრაქტიკის საფუძვლებს;
4. ერკვევა და სწორად ორიენტირებს საერთაშორისო პოლიტიკის რთულ სიტუაციებში;
5. ღრმად აანალიზებს საერთაშორისო მოვლენებს და აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს;
6. გასცემს კომპეტენტურ რჩევებს და ახდენს კონსულტირებას საგარეო პოლიტიკაში;
7. მონაწილეობას იღებს დიპლომატიურ მოლაპარაკებაში, შედის პოლემიკაში, ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს ქართულად და ინგლისურად, ახდენს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას, კვალიფიციურ ოპონირებას და გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები;

| | |
|---|---|
| 8. საკუთარი პოზიციის დაცვით, ეთიკისა და კამათის კულტურის ნორმების შესაბამისად, ახდენს ვერბალურ და წერით კომუნიკაციას შესაბამის სფეროში;<br>9. დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესს და ათვისებულ ცოდნას გადასცემს სხვას;<br>10. აცნობიერებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთმიმართებას, ხელს უწყობს მათ დამკვიდრებასა და გავრცელებას შემდგომი საქმიანობის პროცესში. | |
| **დასაქმების სფეროები** | |
| კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმდებიან საჯარო სამსახურში, პირველ რიგში საგარეო საქმეთა სამინისტროში, დიპლომატიურ სამსახურში, საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო დაწესებულებების საგარეო კავშირების დეპარტამენტებში, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში. | |

| პროგრამის სახელწოდება | ევრაზიისა და კავკასიის კვლევები<br>Euraisan and Caucasus Studies |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:<br>• ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები;<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;<br>• ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე (შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან გამოცდის ჩაბარება - თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული |

| | |
|---|---|
| | სამაგისტრო მისაღები გამოცდა);<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში;<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br>**მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:**<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა;<br>• ინგლისური ენის გამოცდა - B2 დონე (50 %) - მინიმალური 51 ქულა<br>• წერითი გამოცდა (50 - % ) - მინიმალური 51 ქულა |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი<br>Master of Eurasian and Caucasian Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი<br>საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი<br>პროგრამის კოორდინატორი: ფიქრია ასანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი<br>ტელ.: +995 599 64 32 23<br>ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |

| | |
|---|---|
| სავალდებულო დარგობრივი | 40 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 40 კრედიტი |
| თავისუფალი კრედიტები | 10 კრედიტი |
| | |
| **სულ** | 120 კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

**ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:**

- მოამზადოს საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები-მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე ნაყოფიერ საქმიანობას;
- განუვითაროს სტუდენტებს ჰოლისტიკური და ინტერდისციპლინარული აზროვნება, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემის წინაშე არსებული კომპლექსური და მრავალმხრივი პრობლემების ანალიზის, პრევენციის, მათზე რეაგირებისა თუ მათთან დაკავშირებული რისკების მართვისათვის;
- აღჭურვოს სტუდენტი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის შესახებ, მისი ეკონომიკური, პოლტიკური, სოციალური განვითარების თავისებურებებსა და გამოწვევებზე;
- მისცეს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რეგიონალური პროცესების შესახებ ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში და ამავდროულად მიიღოს ცონდნა გარე ფაქტორებისა და საერთაშორისო პროცესების გავლენაზე რეგიონის მიმართ;
- მოახდინოს რეგიონის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში არსებული ძირეული პრობლემების გააზრება და განზოგადება. ასევე ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება.
- დაეუფლოს კვლევითი საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს;
- შეიძინოს სამაგისტრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი და ანალიტიკური უნარ–ჩვევები, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

**სწავლის მეთოდები**

ევრაზიისა და კავკასიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის, გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case Study), დისკუსია-დებატები, სავარჯიშოებზე მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, ელექტრონული სწავლება:

**ლექცია** - სწავლა-სწავლების დიდაქტიკური მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი, როგორც ძირითადი მოსაუბრე, აქტიური ან პასიური მსმენელის როლში მყოფ სტუდენტებს ზეპირი ფორმით აცნობს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული თემატიკის გარშემო. ლექცია ემსახურება

| |
|---|
| სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემის მიზანს<br><br>**ახსნა-განმარტება** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც ლექტორი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს, განმარტავს მათ მაგალითებით და პასუხობს გაჩენილ კითხვებს. ლექციის ფარგლებში ახსნა-განმარტების გზით ლექტორი უადვილებს სტუდენტებს დამოუკიდებლად დასამუშავებელი მასალის გაგება-გააზრებას<br><br>**წიგნზე მუშაობის მეთოდი** - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი<br>ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება<br><br>**წერითი მუშაობის მეთოდი** - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი კვლევითი სემინარის და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად).<br><br>**შემთხვევის ანალიზი (Case Study)** - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში<br><br>**დისკუსია**–დებატები დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე.<br><br>**გონებრივი იერიში (Brainstorming)** -აკადემიური აქტივობა,რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ კონკრეტულის საკითხის შესახებ სტიდენტებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკლაურად განსხვავებული აზრის, იდეის შეგროვებას,კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას.<br><br>**აუდიო-ვიზუალური მუშაობა-** აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში სტუდენტებისთვის მასალის აუდიო და/ან ვიზუალური გზით მიწოდებას ისეთი ელექტრონული და/ან მატერიალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სლაიდები, ვიდეო რგოლები, აუდიო ჩანაწერები, ფოტოები და სხვა. პრეზენტაციისას სტუდენტებში ერთდროულად აქტიურდება სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრების მაღალ ხარისხს.<br><br>**ელექტრონული სწავლება-** დასწრებული სწავლა-სწავლების დამხმარე მეთოდი, რომელიც გულისხმობს სასწავლო მასალის მიწოდებას, ახსნას, საშინაო დავალების მიცემას და შეფასებას სტუდენტსა და ლექტორს შორის ელექტრონულ რეჟიმში. მეთოდი ხელს უწყობს აკადემიური კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდას/გაფართოებას. |
| **შეფასების პროცედურები** |
| <br>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: |

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე

საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**
**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**
სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას .“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

**სწავლის შედეგები**

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის შესახებ უახლეს კვლევებზე დამყარებული ცოდნით, აგრეთვე ემპირიული ინსტრუმენტებით ამ სფეროს აქტუალური თემატიკის საკვლევად. სტუდენტებს შეუძლიათ დარგის თეორიული მასალის ღრმად და შემოქმედებითად გააზრება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, კომპლექსური და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, საკუთარი დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბება და პრობლემის გადაჭრისთვის ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.

*ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**

1. სიღრმისეულად აღწერს და განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობებს, ეკონომიკისა და უსაფრთხოების თეორიებს, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკას, მდგრადი განვითარებისა და განვითარების ეკონომიკას, უსაფრთხოებისა და ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას, ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს როგორც ევრაზიისა და კავკასიის რეგიონულ პროცესებზე, ასევე საერთაშორისო სისტემაზე, გლობალურ პროცესებსა და ინსტიტუტებზე;
2. კრიტიკულად აანალიზებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს;
3. რეგიონში მიმდინრე პროცესების შესასწავლად დამოუკიდებლად გეგმავს ემპირიულ კვლევას თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით;
4. დაინტერესებულ პირთან აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას, მონაწილეობას იღებს გუნდურ მუშაობაში, იგებს დარგის შესაბამის ინგლისურენოვან ტექსტს და კრიტიკულად აანალიზებს მას;
5. აიდენტიფიცირებს, გამოაცალკავებს და ერთმანეთთან ადარებს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში წარმოქმნილ თუ უკვე არსებულ ძირითად პრობლემებს;
6. დამოუკიდებლად მუშაობს სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე და ახდენს ცოდნის რეგულარულად განახლებას დარგობრივი ლიტერატურის ანალიზით;
7. დამოუკიდებლად ირჩევს რეგიონში მიმდინარე აქტუალურ საკვლევ საკითხებს; განსაზღვრავს შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს; აგებს კვლევის დიზაინს, ატარებს საველე სამუშაოებს და გამოკვეთს მისი კვლევის ღირებულებას დარგის განვითარების

| |
|---|
| თვალსაზრისით;<br>8. დამოუკიდებლად ამზადებს და ეფექტურად აკეთებს/წარდგენს ზეპირ თუ წერით პრეზენტაციას, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომს, აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, უახლესი ცოდნისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე;<br>9. დარგის განვითარებისა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ეთიკური პრინციპების დაცვით, იყენებს საკუთარი ან/და სხვისი აკადემიური ნაშრომის მიგნებებს. |
| **დასაქმების სფეროები** |
| სოციალური კვლევების ჩატარების ცოდნა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს აწარმოონ სამხრეთ კავკასიისა და სხვა პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებზე ხარისხიანი კვლევა. გამომდინარე აქედან, პროგრამა ამზადებს მომავალ პრაქტიკოსებს, რომლებიც გეგმავენ გახდნენ მკვლევარები, სააჯრო მოხელეები, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებები და დასაქმდნენ სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებში. |

| პროგრამის სახელწოდება | ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი)<br>European Integration and Employment relations |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გზით მოიპოვებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლებას და რეგისტრაციისთვის მიმართავს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს. პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი; ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის დონე დგინდება ტესტირების გზით, დიპლომის დანართით ან ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით. პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წერითი გამოცდა პარტნიორი უნივერსიტეტების ერთობლივი კომისიის წინაშე. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სოციალური მეცნიერებების მაგისტრი<br>Master of Social Science |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | საქართველოდან პროექტის განხორციელებაში ჩართულნი არიან სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), შპს კავკასიის უნივერსიტეტი და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტო პროგრამაა, ხოლო ადმინისტრირება ხორციელდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ. |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ-ს მხრიდან - პროფესორი მარინა მუსხელიშვილი და პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი;<br>კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან - პროფესორი მაია გონაშვილი<br>ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მხრიდან: პროფესორი გია ღილუაშვილი |
| | პროგრამის კოორდინატორი:კოორდინატორი - ნინო ჩუბინიძე. |
| | ტელ.: +995 599 50 30 62; 599 56 63 55<br>--<br>-- |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| | |
| სავალდებულო დარგობრივი | 65 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 25 კრედიტი |
| | |
| **სულ** | 120 კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- შრომითი ურთიერთობების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვანი როლი ითამაშონ საქართველოს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის სფეროს ტრანსფორმაციაში და ამით კიდევ უფრო დააახლოვონ ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან;
- გამოუმუშაოს სტუდენტს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებისთვის საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების გადაცემის უნარი;
- გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი.

**სწავლის მეთოდები**

ლექცია; ჯგუფური მუშაობა; სემინარი; პრაქტიკული მუშაობა; სამაგისტრო ნაშრომი; პრაქტიკა; საშინაო დავალება; რფერატი, ესე, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, მაგ. როგორიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მაგისტრანტები პარტნიორ უნივერსიტეტებში სწავლობენ საღამოს საათებში და შაბათ დღეს, რითაც უზრუნველყოფილია დასაქმებული სტუდენტების მოზიდვა პროგრამაზე და მათი ლექციებზე რეგულარული დასწრება.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.**

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით.

**სწავლის შედეგები**

**1. ცოდნა და გაცნობიერება**

1.1. პროგრამის დასრულების შემდეგ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას, უახლეს მიღწევებს, ევროინტეგრაციის, შრომითი ურთიერთობების თანამედროვე სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტების, დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ; 1.2. აღწერს საქართველოს შრომით ურთიერთობებს ევროინტეგრაციის კონტექსტში ევროპულ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში. შეძლებს მის კრიტიკულ გააზრებას. ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

**2. უნარი**

ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრი შეძლებს: 2.1. სხვადასხვა სფეროში შრომითი ურთიერთობების და მათი სხვადასხვა ასპექტების შეფასებას ევროპის კავშირში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; 2.2. თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატურ გამოყენებას საქართველოს შრომითი ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლისთვის; 2.3. სხვადასხვა კვლევით თუ სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელ პროექტებში ჩართვას; 2.4. უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული შრომითი და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; 2.5. შრომითი

| |
|---|
| ურთიერთობების სფეროში რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკულ ანალიზს, ინფორმაციის/სოციალური მონაცემების ინოვაციურ სინთეზს, შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები; 2.6. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.<br><br>**3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>3.1. მართავს შრომის და დასაქმების თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება შრომით ურთიერთობებში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; 3.2. შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე, საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა; 3.3. აანალიზებს სფეროში მიღებულ ცოდნას/ინიციატივებს/პრაქტიკას, და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნის და პრატიკის განვითარებაში. |
| **დასაქმების სფეროები** |
| ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს სამინისტროების, საჯარო უწყებებისა და სააგენტოების, კერძო კომპანიების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების სტრუქტურებში შემდეგ პოზიციებზე: ანალიტიკოსი, პროექტის ხელმძღვანელი, მრჩეველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ევროპულ ურთიერთობებში მრჩეველი, ანალიტიკოსი, პროფკავშირებში აღმასრულებელი რგოლების თანამშრომელი, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებისა და სოციალურ სამსახურებში და დასაქმების სააგენტოში სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტის, ასევე ხელმძღვანელის თანამდებობებზე.<br><br>მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება საქართველოს ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელება რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის პოლიტიკის, დასაქმების ევროკავშირში პოლიტიკის; კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელების; შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის; ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში ევროპის საკანონმდებლო რეგულაციების და ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილების საკითხებზე კვლევების განსახორციელებლად. |

| პროგრამის სახელწოდება | კონფლიქტოლოგია<br>**Conflictology** |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვებია სხვადასხვა სფეროს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირთა მიღება, |

| | |
|---|---|
| | რომელთაც მოეთხოვებათ:<br>➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>➢ წერითი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;<br>➢ გაიარონ გასაუბრება სპეციალობასა და უცხოურ ენაში (დარგობრივი ინგლისური - ტექსტის წაკითხვა, გაგება, დისკუსია და პროდუცირება, რაც გულისხმობს უცხოური ენის ცოდნას სულ მცირე B2 დონეზე) .<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;<br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>**მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულების გამოყვანის სტრუქტურა:**<br><br>• საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა (მინიმალური ზღვარი);<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში (60 - % ) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან);<br>• გასაუბრება სპეციალობაში (20 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან);<br>• გასაუბრება უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B2) (20 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან). |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | კონფლიქტოლოგიის მაგისტრი<br>Master of Conflictology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეორე კორპუსი, ჭავჭავაძის 3 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი<br>ინტერდისციპლინური მიმართულება |

| | |
|---|---|
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელები: გუგული მაღრაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - პროფესორი; რევაზ ჯორბენაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - პროფესორი; |
| | პროგრამის კოორდინატორი: მარეხ დევიძე, ფსიქოლოგი |
| | ტელ.: +995 577 43 16 17; 599 90 61 54; 577 94 39 53. |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| | |
| სავალდებულო დარგობრივი | 65 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო) | 30 კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 25 კრედიტი |
| | |
| **სულ** | 120 კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

**კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს:**

- დამოუკიდებელი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები და ანალიტიკოსები, რომლებსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა სხვადსხვა დონის და სახის კონფლიქტების სტრუქტურის, შინაარსის და დინამიკის ძირითად კანონზომიერებათა შესახებ;
- მკვლევარი/პრაქტიკოსები, რომელბსაც შეეძლებათ თავიანთი ცოდნის გამოყენება ისეთი კონფლიქტების ანალიზის, მოგვარების და პრევენციისთვის, როგორიცაა ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, სკოლის და საგანმანათლებლო სისტემის, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სამხედრო (სტრატეგიული და უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, თავდაცვითი პოლიტიკის, ომების პრევენციის და საინფომაციო უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული და ემპირიული ცოდნა), ბიზნეს თუ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები.

**სწავლის მეთოდები**

**სწავლის შედეგების მიღწევის ძირითადი მეთოდები:**

ლექცია; სემინარი; ჯგუფური მუშაობა; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; როლური თამაშები; დისკუსია/ დებატები; პრეზენტაცია; ტრენინგი; სიტუაციური ანალიზი; სიმულაციები; წიგნზე მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; პრაქტიკა და გამოცდილებითი სწავლა-სწავლების მეთოდი; ელექტრონული სწავლება[4] (E-learning).

[4] ელექტრონული სწავლება - https://bit.ly/3z1JWTG

სასწავლო კურსის თემატიკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესორი ირჩევს სასწავლო კურსის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდ(ებ)ს.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

*დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
- (A) **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
- **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.**
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**

**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**
სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[5]."

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმები:**

- აქტუალობა - 5 ქულა
- კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა
- ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა
- ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა
- ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა
- ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა

სულ - 100 ქულა

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**

[5] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

***შენიშვნა:*** *რეცენზენტი რეკომენდაციის გაცემისას ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, გარდა ვ) პუნქტისა.*

**სწავლის შედეგები**

*ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*
**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**

1. სისტემურად აღწერს და სიღრმისეულად განმარტავს კონფლიქტების ანალიზის და მართვის სფეროში არსებულ მრავალმხრივ, ძირითად და სისტემურ თეორიულ მიმართულებებს, პრობლემებს და დარგის კვლევის მეთოდებს; კონფლიქტების ანალიზის, დარეგულირების და მოგვარების კომპლექსურ საკითხებს და პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობებს; საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის პროცესებს;
2. კონფლიქტების კვლევის მეთოდების გამოყენებით ამუშავებს ემპირიული მასალის შედეგებს და დამოუკიდებლად აანალიზებს კონფლიქტებს;
3. დამოუკიდებლად გეგმავს, ატარებს და ხსნის (ინტერპრეტირებს) ფუნდამენტური და პრაქტიკული ხასიათის, მეცნიერულ თუ პრაქტიკულ კვლევებს;
4. ცოდნაზე დაფუძნებული ახალი იდეების შეჯამებით, კონფლიქტური სიტუაციის დიაგნოსტირებით, გამოყოფს პრობლემას და

დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე მოიძიებს პრობლემური სიტუაციის ახლებურად გადაჭრის გზებს;

5. პრაქტიკული ან სამეცნიერო მუშაობისთვის კონფლიქტების ანალიზის და დარეგულირების სფეროსთან დაკავშირებით ამზადებს წერილობით და ზეპირ ანგარიშებს, პრეზენტაციის სახით წარუდგენს დაინტერესებულ პირებს (სპეციალისტებს და არა სპეციალისტებს), ერთვება დებატებსა და დისკუსიებში საკუთარი პიზიციის დაცვით;
6. ერთვება რეალურ კონფლიქტში მესამე მხარედ, განიხილავს საფრთხეებს და შეიმუშავებს სადავო საკითხებზე რეკომენდაციებს;
7. გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს მიზანმიმართულად, შემდგომი სწავლის გაგრძელების საჭიროებებიდან გამომდინარე პროფესიული სრულყოფის მიზნით ცვალებად გარემოსთან მიმართებით;
8. იცავს, აფასებს, ავრცელებს ღირებულებით ორიენტაციებს *(სოციალური სამართლიანობა, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები, სიძულვილის ენის არგამოყენება, ეთნიკური უმცირესობების პატივისცემა და სხვა)* და პატივს სცემს სხვების პროფესიულ პოზიციას და ღირებულებით ორიენტაციას *(მათ მიმართ მიმღებლობა და სიახლეების ხელშეწყობა);*
9. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით მოიძიებს და სხვადასხვა რაკურსით გამოიყენებს კონფლიქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის ნაწილში.

**დასაქმების სფეროები**

კონფლიქტოლოგიის მაგისტრების დასაქმების სფერო ვრცელია.

**კონფლიქტოლოგიის მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ:**

- ✓ ყველა სფეროში, სადაც მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება, მართვა;
- ✓ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში, ადგილობრივ თემში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვაგან წამოჭრილი სადაო საკითხების მოსაგვარებლად;
- ✓ სხვადასხვა თანამდებობის მქონე მუშაკთა მომზადებაში სათანადო ტრენინგების საშუალებით (რათა მათ შეძლონ თავიდან აიცილონ კონფლიქტური სიტუაციები ან კონფლიქტის შემთხვევაში მოაგვარონ წამოჭრილი კონფლიქტები მოლაპარაკების და კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატული მეთოდების გამოყენებით, მაგ: მედიაცია, რითაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნებისმიერი დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა);
- ✓ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში (შეუძლიათ ინტენსიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში);
- ✓ კვლევით ცენტრებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ✓ ადგილობრივი და საერთაშორისო უსაფრთხოების სამსახურებში;
- ✓ ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში.

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება**<br>**Program title** | **მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები**<br>**Media psychology and communications** |
| **Study Level**<br>**სწავლების საფეხური** | MA<br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **Program prerequisites**<br>**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • BA degree/equal to it from authorized higher education institution.<br>• A minimum criterion for admission is B2 level English proficiency (FCE - evaluation A or B; IELTS - points 5.0 - 6.5; TOEIC – points 400 - 485 (listening) and 385 - 450 (reading); TOEFL (IBT) - points 87-109; PTE (General) - level 3; PTE (Academic) - points 59; (40 % of the evaluation).<br>• Writing examination (Essay, In English); (40 % of the evaluation).<br>• Interview with the program committee; (20 % of the evaluation).<br><br>• ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;<br>• ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით, რომელსაც ატარებს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი); თსუ-ის № 49/2014 დადგენილებით დამტკიცებულია B2 დონის შესაბამისი საერთაშორისო გამოცდები (სერტიფიკატების და ქულების ნუსხა) ინგლისურ ენაში (შეფასების 40 %):<br>  • FCE - შეფასება A ან B<br>  • IELTS - ქულა 5.0 - 6.5<br>  • TOEIC - ქულა 400 - 485 (listening) და 385 - 450 (reading)<br>  • TOEFL (IBT) - ქულა 87-109<br>  • PTE (General ) - level 3<br>  • PTE (Academic) - ქულა 59<br>• წერითი გამოცდა (ესსე, ინგლისურ ენაზე) (შეფასების 40 %)<br>• მიმღებ კომისიასთან გასაუბრება (შეფასების 20 %). |
| **Program Language**<br>**სწავლების ენა** | English<br>ინგლისური |
| **Qualification**<br>**კვალიფიკაცია** | MSc in Media Studies<br>მეცნიერების მაგისტრი მედიის კვლევებში |
| **The length of study**<br>**სწავლების ხანგრძლივობა** | 4 academic semesters<br>4 სემესტრი |

| | |
|---|---|
| **ECTS** | 120 |
| **Tuition fees**<br>**სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **Program implementation place**<br>**პროგრამის განხორციელების ადგილი** | TSU, building VI, Chavchavadze ave. 8<br>თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **Program implementation unit**<br>**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | Social and Political Sciences<br>სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| | Interdisciplinary<br>ინტერდისციპლინური |
| | |
| **Contact Person**<br>**საკონტაქტო პირი** | Head of the program/პროგრამის ხელმძღვანელი: Professor Mariam Gersamia |
| | Coordinator of the program/პროგრამის კოორდინატორი: |
| | Tel./ტელ.: +995 599 58 10 48 |
| | E-mail/ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| | **Program structure**<br>**პროგრამის სტრუქტურა** |
| **Course Status** | ECTS-მოცულობა |
| | |
| mandatory courses<br>სავალდებულო დარგობრივი | 30 კრედიტი/ECTS |
| master's thesis<br>სამაგისტრო ნაშრომი | 30კრედიტი/ECTS |
| elective courses<br>არჩევითი დარგობრივი | 45 კრედიტი/ECTS |
| free credits<br>თავისუფალი სასწავლო კურსები | 15 კრედიტი/ECTS |
| | |
| **Total/სულ** | 120 კრედიტი/ECTS |
| **Learning Objectives**<br>**პროგრამის მიზანი** | |

To equip graduates with systematic knowledge and skill-based international competencies (I-COMs) in accordance with job market requirements and provide them with systematic knowledge in media psychology and the comprehensive research skills so that they could:

- Conduct multidisciplinary research projects in media psychology and communications: research the interaction between media (social media included) and

individuals/groups/society, as well as the influence of modern technologies on human behavior and investigate psychological media effects;
- Contribute in raising awareness up in media influences, information and digital literacy (MIDL);
- With research-backed recommendations, have positive impact on the development of media standards, media environment and media psychology field;
- To contribute with freshly gained knowledge in academia and exchange this knowledge with academic and non-academic audience as well;

პროგრამის მიზნებია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნითა და უნარებით, რომ მათ შეძლონ:
- მედიაფსიქოლოგიის და კომუნიკაციის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება: მედიის (მათ შორის, სოციალური მედიის) და ინდივიდების/ჯგუფების/საზოგადოების ინტერაქციის, მედიის ფსიქოლოგიური ეფექტების, ადამიანის ქცევაზე თანამედროვე ტექნოლოგების ზეგავლენის კვლევა;
- მედიის, ინფორმაციის და ციფრული წიგნიერების ცნობიერების ამაღლებაში წვლილის შეტანა;
- კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციებით, პოზიტიური გავლენის მოხდენა მედიასტანდარტების, მედიაგარემოს და მედიაფსიქოლოგიის სფეროს განვითარებაზე;
- უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და არა-აკადემიურ საზოგადოებაში;

**Learning/Teaching methods**
**სწავლის მეთოდები**

- Lecture and seminars;
- Active and inquire based learning: Case-based Learning (CBL), project based learning and problem-based learning (PBL);
- Assessment and Feedback (peer-assessment, external assessment)
- Intercultural inclusive approach;
- Brainstorming;
- Discussion and debates;
- Working in teams;
- Independent work;
- Analysis and synthesis;
- Practical tasks (oral and written);
- Role activities;
- Demonstration and explanation;
- Blended learning and flipped classroom: Online learning (via Moodle system: www.e-learning.tsu.ge platform).

სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდებს. ესენია: ლექცია-სემინარები და სამუშაო ჯგუფები; პროექტებზე/პრობლემაზე/შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება; შეფასება და უკუგება (ურთიერთშეფასება და გარე-შეფასება); ინტერკულტურული ინკლუზიური მიდგომა; გონებრივი იერიში, დისკუსია და დებატები; დამოუკიდებელი და ჯგუფებში მუშაობა, ანალიზის და სინთეზის მეთოდი, პრაქტიკული მუშაობა (წერითი, ზეპირი დავალებები), როლური და

სიტუაციურ თამაშები, დემონსტრაციული და ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შერეული სწავლების მეთოდები და სხვა ის მეთოდები, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების სისტემაში. ინტერაქტიური და მოქნილი სწავლების პროცესის დაგეგმვისთვის და შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყენებული იქნება თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle-ის პლატფორმაზე (e-learning.tsu.ge).

**Assessment system and criteria**
**შეფასების პროცედურები**

- Students evaluation criteria correspond with the Georgian law on higher education and TSU bylaws.
- Students receive ECT-s within a 100 point grading system.
- The following components are included in the evaluation form: activity, midterms, practical and research assignments, final examination, presentations etc.
- Students are evaluated on the bases of practical and theoretical knowledge.
- Some parts of the midterms are/might be carried out online (via TSU e-learning portal well).

| Evaluation System | | |
|---|---|---|
| A | 91 -100 | Excellent |
| B | 81 -90 | Very Good |
| C | 71 -80 | Good |
| D | 61 -70 | Satisfactory |
| E | 51 - 60 | Sufficient |
| FX | 41 - 50 | No pass (student can retake the final examination only once) |
| F | 0 – 40 | Fail (student has to retake the course) |

In accordance with minister’s decree N3 (2007) in case of FX assessment student is allowed to take an additional exam.

In case of FX assessment in educational program component the institution of higher education is obliged to organize additional exam at least in 5 days after the announcement of the results of final exam. Given obligation is not valid for the dissertation, graduate project/work, creative/performance work or other scientific project/work.

The points received at final assessment are not added to the additional exam assessment received by student. Assessment received at additional exam is final assessment and is depicted in total assessment of. In case of receiving 0-50 points in total assessment of educational component considering additional exam assessment student assessment is finalized as F-0 point. In case of F-assessment student must retake the credit.

**Evaluation of master's thesis**[6]

**A Master's Thesis is the work performed individually by the student.**

**The Master's Thesis is assessed once, with a final assessment with a 100-point system.**

[6] https://bit.ly/49z8tRo

The master's thesis will be passed and the master's student will be awarded the appropriate credit if the predetermined minimum threshold is exceeded (at least 51 points).

In the scientific-research component of the Master's educational program, in case of receiving the grade - **(FX) (No pass ),** the MA student is allowed to submit the revised scientific-research component during the next semester, and in case of receiving the grade - **(F) (fail),** the MA student loses the right to submit the same scientific-research component.
The decision of the commission is final.

**Appendix No.1**

**Assessment criteria of the Master's Thesis:**

a) Relevance – 5 points
b) Research methodology – 20 points
c) Literature review and theoretical component – 20 points
d) The ability to analyze and argue -30 points
e) The formal, linguistic, and stylistic aspects of the paper- 10 points
f) Visual appearance of the work, presentation, and communication skills of the speaker – 15 points

Total: 100 points

| | |
|---|---|
| **a) Relevance - 5**<br><br>(The urgency and novelty of the topic are evaluated) | Maximum 5 points<br><br>• Component/feature does not meet qualification requirements - 0% ;<br>• Component/feature includes significant errors -1-25%;<br>• Components/features include minor errors -26-50%<br>• Component/feature includes non-essential errors -51-75%<br>• Component/feature is flawless- 76-100 |
| **b) research methodology - 20**<br>(Appropriacy of goals and objectives, soundness of the research question/hypothesis, and correctness of establishing relationships between dependent and independent variables are assessed (if necessary).<br>Structured and appropriate research design that is | Maximum 20 points<br>• Component/feature does not meet qualification requirements - 0%<br>• Component/feature includes significant errors –1-25%<br>• Components/features include minor errors |

| | |
|---|---|
| relevant to the research purpose<br>(a comprehensive presentation of empirical data analysis) | -26-50%<br>• Component/feature includes non-essential errors -51-75%<br>• Component/feature is flawless- 76-100 |
| **c) literature review and theoretical component - 20**<br><br>(the comprehensiveness of processing relevant, up-to-date, and diverse literature, including foreign language sources and critical analysis of theoretical material, is assessed) | Maximum 20 points<br>• Component/feature does not meet qualification requirements - 0% ;<br>• Component/feature includes significant errors -1-25%;<br>• Components/features include minor errors -26-50%<br>• Component/feature includes non-essential errors -51-75%<br>• Component/feature is flawless- 76-100 |
| **d) the ability to analyze and argue -30**<br>(the consistency of the author's reasoning, the ability to establish cause-and-effect relationships and draw adequate conclusions, the connection of the conclusions with the main text, and their logicality are evaluated) | Maximum 30 points<br>• Component/feature does not meet qualification requirements - 0% ;<br>• Component/feature includes significant errors -1-25%;<br>• Components/features include minor errors -26-50%<br>• Component/feature includes non-essential errors -51-75%<br>• Component/feature is flawless- 76-100 |
| **e) The formal, linguistic, and stylistic aspects of the paper- 10**<br>(the linguistic fluency of the presented work, academic style, completeness and correctness of references to sources, compliance of the maps, tables, and figures with the given standard of paper formatting and the quality of their observance, adherence to APA/Turabian style) | Maximum 10 points<br>• Component/feature does not meet qualification requirements - 0% ;<br>• Component/feature includes significant errors -1-25%;<br>• Components/features include minor errors -26-50%<br>• Component/feature includes non-essential errors -51-75%<br>• Component/feature is flawless- 76-100 |
| **f) Visual appearance of the work, presentation, and** | Maximum 15 points |

| | |
|---|---|
| **communication skills of the speaker - 15** (the visual (technical and aesthetic) side of the demonstration of the content and results of the work, availability of visual aids, their adequacy and quality, use of modern presentation technologies, such as PowerPoint, digital maps, tables, graphs, etc.); MA student's answers to the questions and notes are assessed) | • Component/feature does not meet qualification requirements - 0% ;<br>• Component/feature includes significant errors -1-25%;<br>• Components/features include minor errors -26-50%<br>• Component/feature includes non-essential errors -51-75%<br>• Component/feature is flawless- 76-100 |

**Note**: The reviewer is guided by the criteria outlined in Appendix No. 1 - except point f -when issuing a recommendation.

სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტი ყოველ საგანში ფასდება ECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულიანი სისტემით შეფასების მეთოდებით ადექვატურად მოწმდება პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები, მაგ: აქტიურობა, შუალედური შემოწმებები, პრაქტიკული და კვლევითი დავალებები, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაციები და სხვ. კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი გამოცდა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წერითი, ზეპირი ან კომბინირებული ფორმით. სტუდენტები ფასდებიან მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომში კრედიტის მინიჭება ხორციელდება ნაშრომისადმი დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულების შემთხვევაში.

**ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:**

(A) **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
(B) **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:**

**დასაქმების სფეროები:** სოციალური მუშაობის მაგისტრატურის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში, ისე პრაქტიკული საქმიანობის, სოციალური პოლიტიკის, სოციალური პროგრამების მართვის, კვლევითი საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. რაც შეეხება პრაქტიკას, სოციალური მუშაობის მაგისტრს შეუძლია დაიკავოს როგორც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის, ასევე მენეჯერული პოზიციები იმ სახელმწიფო თუ კერძო საგანტოებში, სადაც სოციალური მუშაობის მომსახურება ხორციელდება (ბავშვთა კეთილდღეობა, საგანმანათლებლო სფერო, მართლმსაჯულების სფერო, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო; ასევე მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა, დამოკიდებულების მქონე პირთა, აივ/შიდსით ინფიცირებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საკითხებზე).

იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკული სოციალური მუშაობა გახდა რეგულირებადი და სოციალური მუშაობის განვითარება იგეგმება არა მხოლოდ ცენტრალურ (როგორც 2018 წლამდე იყო), არამედ მუნიციპალურ დონეზეც, მოთხოვნა სოციალური მუშაკებზე სულ უფრო იზრდება, რაც, ცხადია, აფართოებს სოციალურ მუშაკთა დასაქმების არეალს.

სოციალური მუშაობა, სხვა მხარდამჭერ პროფესიებთან შედარებით ახალი პროფესიაა საქართველოში და სრულიად რეალისტურია მისი განვითარება ახალ სფეროებში. ამაში კი კურსდამთავრებულთა როლი დიდია.

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტურანტურაში.

| პროგრამის სახელწოდება | სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია<br>Socio-Political and Economic Geography |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო |

| | |
|---|---|
| | გამოცდების შედეგებით;<br>• ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში[14] (ან დადასტურება შესაბამისი სერთიფიკატით) – B2 დონე (20 %);<br>• გამოცდა სპეციალობაში[15] (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე) - წერით გამოცდა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში (80 %);<br>• საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით;<br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი<br>Master of Human Geography |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| | საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება |
| | |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი |
| | პროგრამის კოორდინატორი: გიორგი გოგსაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი |
| | ტელ.: +995 599 56 40 00 |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| | |
| სავალდებულო დარგობრივი | 30 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 კრედიტი |

[14] ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე გავლილი აქვს დარგობრივი ინგლისური ენის სასწავლო კურსი.

[15] შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

| | |
|---|---|
| არჩევითი დარგობრივი | 60 კრედიტი |
| **სულ** | 120 კრედიტი |
| | |
| | |

**პროგრამის მიზანი**

სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა და გამოუმუშავოს უნარ-ჩვევები, რომლის საფუძველზეც მათ შეეძლებათ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და პროცესების გეოგრაფიული კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა და აღნიშნულ სფეროებში ცვლილებების შეფასება ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე.

**სწავლის მეთოდები**

- ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ლიტერატურასა დასხვაწყაროებზემუშაობის მეთოდი;
- საველეკვლევისადადაკვირვებისმეთოდი;
- შედარებითი ანალიზისმეთოდი;
- სივრცით-დროითი ანალიზისმეთოდი;
- სისტემური მიდგომის მეთოდი;
- მონაცემთა ვიზუალიზაციისადა კარტოგრაფიული მეთოდი;
- გეოინფორმაციული (გის) მეთოდი;
- გუნდური მუშაობა დადისკუსია;
- SWOTანალიზი.
- ელექტრონული სწავლების მეთოდი,
- გუნდური მუშაობა და დისკუსია,
- ელექტორნული სწავლების მეთოდები.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

*დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*

შეფასების სისტემა უშვებს:

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**

**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**

სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F)**

**(ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[16].“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

**სწავლის შედეგები**

*საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი არის სპეციალისტი, რომელმაც აითვისა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის და მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების სამაგისტრო კურსები.*

*ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

[16] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**

1. სიღრმისეულად აღწერს და განმარტავს თანამედროვე გეოგრაფიულ კონცეფციებსა და პარადიგმებს *(რაც მას ეხმარება სწორი წარმოდგენა შეიქმნას მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით მათი სივრცითი თავისებურებების შესახებ),* საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს;
2. კვლევის პროცესში სათანადოდ იყენებს ინფორმაციას და თანამედროვე ტექნოლოგიების როლს;
3. თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებელად ატარებს კვლევას (საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა რეგიონში), კერძოდ, სალიტერატურო, სტატისტიკურ და სხვა სახის წყაროებთან მუშაობა, საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დრო-სივრცითი ანალიზი და შედეგების შეფასება;
4. დამოუკიდებლად მოიძიებს, განაზოგადებს, აანალიზებს და აფასებს სალიტერატურო, სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ მასალებს (მათ შორის საველე პირობებში);
5. იყენებს პროფესიული ეთიკის ნორმებს პრაქტიკაში კარტოგრაფიული და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეთოდებისა და მიდგომების, კვლევითი და საექსპერტო საქმიანობისათვის;
6. ამყარებს უცხოელ და ქართველ მეცნიერებთან კონტაქტს (ქართულ და ინგლისურ ენაზე) ამზადებს და წარადგენს პრეზენტაციას;
7. სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშს და/ან ნაშრომს მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გეოგრაფიული ასპექტების შესახებ.

**დასაქმების სფეროები**

სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის (2005 წლიდან საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის, შემდეგ მიმართულების) კურსდამთავრებულები წარმატებით იყენებენ მიღებულ ცოდნას მეცნიერულ და განსაკუთრებით პრაქტიკულ საქმიანობაში.

კურსდამთავრებულებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სხვადასხვა პერიოდში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტები მუშაობდნენ და მუშაობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე. მათ შორის იყვნენ/არიან 2 პრემიერ-მინისტრი, 4 მინისტრი, 10-მდე მინისტრის მოადგილე და მათთან გათანებრებული პირი, 12 ელჩი. ორი კურსდამთავრებული ამჟამად მუშაობს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შტაბ- ბინაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შრომით ბაზარზე მთლიანობაში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტებზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია და ეს მოთხოვნა არ მცირდება.

წარჩინებულ სტუდენტებს მიმართულება რეკომენდაციას გაუწევს შესაბამის სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში მათი შრომათმოწყობის მხრივ.

სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრების დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიური სამსახურები), საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სექტორი.

| პროგრამის სახელწოდება | სოციოლოგია<br>Sociology |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ✓ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;<br>✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>✓ გამოცდა სპეციალობაში (სოციოლოგიაში) 60%;<br>✓ გასაუბრება სპეციალობასა და უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B²) 40%;<br>✓ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით;<br>✓ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სოციოლოგიის მაგისტრი<br>Master of Sociology |
| | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| | სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება |
| | |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი |
| | პროგრამის კოორდინატორი: -- |
| | ტელ.: +995 599 56 63 55 |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| | |

| | |
|---|---|
| სავალდებულო დარგობრივი | 55 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 |
| არჩევითი დარგობრივი | 30 კრედიტი |
| თავისუფალი კრედიტი | 5 კრედიტი |
| | |
| **სულ** | 120 კრედიტი |
| | |
| | |

**პროგრამის მიზანი**

**სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისად:**

- ✓ სტუდენტს შესძინოს სოციოლოგიის დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე სოციალურ-თეორიულ, ასევე, სოციოლოგიური კვლევის ემპირიულ მეთოდებთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე.
- ✓ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით შეიარაღებული დამოუკიდებელი მკვლევრის ჩამოყალიბება, რომელიც სოციოლოგიურ კვლევას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან კავშირში განიხილავს.

**სწავლის მეთოდები**

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ✓ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ✓ წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესსეს შესრულება, და ა.შ.;
- ✓ პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და კვლევითი პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ✓ დისკუსია, დებატები;
- ✓ ჯგუფური მუშაობა(cooperative/collaborative);
- ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ✓ შემთხვევის ანალიზი;
- ✓ გონებრივი იერიში(Brain storming);
- ✓ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ✓ ელექტრონული სწავლება (E-learning).

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;

ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

*დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*

შეფასების სისტემა უშვებს:
**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
- (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**

**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**

სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (**FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (**F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[17].“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

---

[17] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).

**სწავლის შედეგები**

*ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**

1. სიღრმისეულად აანალიზებს სოციოლოგიის ძირითად თეორიებს და პარადიგმებს, აღწერს ემპირიული კვლევის უახლეს მიდგომებსა და მეთოდებს;
2. კრიტიკულად განმარტავს დარგობრივი სოციოკულტურული ტრანსფორმაციების არსს და ძირითად მახასიათებლებს როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო სივრცეებში;
3. არგუმენტირებულად მსჯელობს იმ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც სოციალურ ინსტიტუტებისა და სტრუქტურების მეშვეობით მიმდინარეობს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ სივრცეში;
4. კომპლექსურად იყენებს და განსაზღვრავს როგორც თეორიულ პარადიგმებს, ისე ემპირიული კვლევის სხვადასხვა მეთოდს სოციალური პრობლემებისა და თანამედროვე საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის;
5. აყალიბებს დასკვნებს სოციალური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ;
6. დამოუკიდებლად, ხარისხიანად და მაღალ დონეზე წარმართავს კომპლექსურ კვლევებს. როგორც უფროსი მკვლევარი, თავად უძღვება კვლევითი პროექტის განხორციელებას მულტიკულტურულ და ინტერდისციპლინურ გარემოში ჯგუფში მუშაობის პრინციპების გათვალისწინებითა და არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით;
7. საკომუნიკაციო ტექნიკების გამოყენებით, ეფექტურად წარმართავს კომუნიკაციას ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისურ) შესაბამის აუდიტორიასთან (კვლევის ობიექტებთან-რესპონდენტებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან);
8. მოქმედებს პროფესიული ეთიკის პრინციპებით, იცავს კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებებს (პირველ რიგში, მათ კონფიდენციალურობას და ანონიმურობას) და აღიარებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს;
9. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით, ახდენს ახალი ცოდნისა და იდეების გენერირებას და აწვდის ობიექტურ რეკომენდაციებს იმ დაინტერესებულ ჯგუფებს („სტეიკჰოლდერებს), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სოციალურ ცვლილებებზე.

**დასაქმების სფეროები**

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს.

| პროგრამის სახელწოდება | ციფრული მედია და ინოვაციები<br>Digital Media and Innovations |
|---|---|
| **საფეხური** | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• უცხო ენის, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა (დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა ან წერილობითი გამოცდის ჩაბარება);<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში.<br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ციფრული მედია და ინოვაციები“ შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა.<br>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.<br><br>მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა;<br>• წერითი გამოცდა (60 - % ) - მინიმალური 51 ქულა;<br>• ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდა - (40 %) - მინიმალური 51 ქულა. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ჟურნალისტიკის მაგისტრი<br>Master of journalism |
| | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (თსუ)<br>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ზსუ) |
| | ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება (თსუ) |

| | |
|---|---|
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი<br>თსუ ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე<br>ბსუ ასოცირებული პროფესორი ინგა შამილიშვილი |
| | ტელ.: +995 555 36 13 21 |
| | ელფოსტა: dphil@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| | |
| სავალდებულო დარგობრივი | 75 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 |
| არჩევითი დარგობრივი | 15 კრედიტი |
| **სულ** | 120 კრედიტი |
| | |
| | |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

პროგრამის მიზანია:

1. სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა ციფრული მედიის ფუქნციონირების, მართვის უახლესი ტრენდების, შინაარსის მომზადების ინოვაციური მიდგომებისა და გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ;
2. გამოარჩიოს და განავითაროს ციფრული ჟურნალისტიკა, როგორც სიმართლის მოძიებისა და გავრცელების დარგი მასობრივი კომუნიკაციის დიგიტალურ სამყაროში;
3. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება საზოგადოებრივი და დარგის პრობლემების გადაჭრისთვის.

**სწავლის მეთოდები**

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** სწავლების ყველაზე გავრცელებული მეთოდია და გულისხმობს ლექციასა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის წარმართვას, საუბარს, აზრთა გაცვლა-გამოცვლა;
- **წერითი მუშაობის მეთოდი,** რაც გულისხმობს სტუდენტ ჟურნალისტთა მიერ პრაქტიკული დავალებების (ნიუსების, სტატიების, ინტერვიუებისა თუ რეპორტაჟების) შესრულებასა და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს ესსესა თუ რეფერატის დაწერას.
- **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. მოცემული მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ელექტრონული სწავლება** - შერეული ფორმა, რომელიც არ გამორიცხავს საუდიტორიო მეცადინეობებს, არამედ მისი მეშვეობით პროფესორი ამრავლფეროვნებს კურსს. პროფესორი ელექტრონულ პორტალზე ათავსებს სასწავლო მასალებს, პრეზენტაციებს; სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიოფაილებს; იყენებს სასწავლო ფორუმებს, როგორც სტუდენტთა დისკუსიის ერთ-ერთ ფორმას; მიმართავს ელექტრონულ ტესტირებას,

როგორც შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმას;

- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფასა და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია ცოდნის გადაცემისა და ათვისებისთვის, რამეთუ სწორედ წიგნებშია კაცობრიობის ისტორია, კულტურა, კაცობრიობის მონაპოვარი. წიგნზე მუშაობის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ, ესენია: 1. ახსნითი კითხვის/კომენტირებული კითხვის მეთოდი; 2. დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს - მაგალითებს მედიიდან, რომლებსაც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისთვის.
- **როლური და სიტუაციური თამაშები** - თოქშოუებისა თუ ინტერვიუების ფორმით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომელიც დაწვრილებით განიხილება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**შეფასების პროცედურები**

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:
ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

**შეფასების სისტემა უშვებს:**
**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
- (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.**
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**

**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**

სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.“

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**ა) აქტუალობა - 5 ქულა**
(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**
(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულლობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**
(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**
(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულლობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**
(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულლობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).

**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**
(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის

| |
|---|
| არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). |
| **სწავლის შედეგები** |
| *ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*<br><br>**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**<br>1. აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსა და მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს;<br>2. აცნობიერებს ინოვაციური მარკეტინგული და მენეჯერული მიდგომების როლს ციფრული მედიასაწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის;<br>3. მსჯელობს ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკაზე საქართველოსა და მსოფლიოში, კიბერჰიგიენის საფუძვლებსა და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებზე;<br>4. ინტერპრეტირებს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებზე, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებზე; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედიასაშუალების ორგანიზაციულ მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარ ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს;<br>5. აცნობიერებს აკადემიური კეთილსინდიერების დაცვისა და პლაგიატთან ბრძოლის საჭიროებას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობასა და მნიშვნელობას ჟურნალისტიკაში, ჟურნალისტური საქმიანობის ზოგადთეორიულ საფუძვლებს;<br>6. არგუმენტირებულად წარმოადგენს და განმარტავს საკუთარ მოსაზრებებს დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტსა და მონაცემებს; მოიძიებს და ამუშავებს დარგის საკითხებზე საჭირო ინფორმაციას; არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედიაპროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის" მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში;<br>7. გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ინტერნეტმედიისთვის შექმნილი ჟურნალისტური მასალების აუდიტორიის მონაცემებს; აანალიზებს მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; ქმნის, იღებს და ამონტაჟებს მულტიპლატფორმებისთვის მედიურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაში იყენებს მულტიმედიური თხრობის უნარს;<br>8. როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად, გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში;<br>9. ახორციელებს აკადემიურ/პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ციფრულ მონაცემთა კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს, სამართლებრივი ნორმების დაცვითა და პროფესიული სტანდარტის გამოყენებით მართავს რედაქციას და ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით ადაპტირდება რეალობასთან;<br>10. ქმნის წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ციფრული მედიისთვის და პასუხისმგებლობას იღებს კოლეგების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. |
| **დასაქმების სფეროები** |
| **სამაგისტრო კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრს აქვს შესაძლებლობა დასაქმდეს:** |

- სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში, სადაც ციფრული მედიისა და მულტიმედიური ჟურნალისტიკის კვლევითი და პრაქტიკული უნარები განსაკუთრებულად მოთხოვნადია;
- ყველა ტიპის მედია და საინფორმაციო სამსახურში;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში;
- ანალიტიკურ-საკონსულტაციო სააგენტოებში;
- მედიისა და კომუნიკაციების კვლევით ორგანიზაციებში;
- მედიამონიტორინგის კომპანიებში;
- სახელმწიფო ორგანიზაციებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- კერძო სექტორში.

კვლევების თანახმად (იხილეთ ბაზრის კვლევა - https://bit.ly/3yDPBPG ), საქართველოში ასეულობით მედიასაშუალება: 100-მდე ჟურნალ-გაზეთი, ათეულობით ონლაინგამოცემა, 50-მდე რადიოსადგური, 150–ზე მეტი ტელეარხი, ფუნქციონირებს (მათ შორის, 40-მდე რეგიონებში, დანარჩენი კი - თბილისში). სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციაში ფუნქციონირებს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.